სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

კობა წურწუმია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.20

ენტონი ბერჯესის დისტოპიური რომანი „მექანიკური ფორთოხალი“

აბსტრაქტი. ენტონი ბერჯესი XX საუკუნის გამორჩეული სტილისა და ხედვის ბრიტანელი მწერალია. შინაარსობრივად მწერლის რომანების დიდი ნაწილი ძალადობას, პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირებას ეძღვნება. მწერალი ლიტერატურის ისტორიაში შევიდა როგორც ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური რომანების ავტორი. ბერჯესის წერის სტილმა იმთავითვე მიიქცია ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღება. ევროპელ და ამერიკელ კრიტიკოსებს „მექანიკური ფორთოხალის“ მიმართ არაერთგვაროვანი შეფასება ჰქონდათ.

არაჯანსაღი გარემო, ომი, სოციალური სიდუხჭირე, ღმერთის არსებობაში დაეჭვება, ცრუ ფასეულობების მიღება იწვევს პიროვნების „ავადმყოფური სიმახინჯეებისაკენ“ ლტოლვას. სად არის საძიებელი ალეკსის სულიერი ტრავმების სათავე? „აწმყოს განადგურებამ“ ხომ არ წარმოშვა ალეკსის სულიერი „მეტასტაზები“? იქნებ, მომავლის განჭვრეტაშია ადამიანის უბედურების მიზეზი და ეგზისტენციალური შიშების სათავე? საზოგადოების მიმართ ნდობის დაკარგვას მოსდევს გაუცხოება, გულგრილობა, უპასუხისმგებლობა, ძალადობა, ფსიქიკური სიგიჟეები. ვფიქრობთ, რომ ალეკსი „ნგრევის ეპოქის“ მსხვერპლია. მეამბოხე თინეიჯერი თანდათან საზოგადოებას უბრუნდება, სიკეთისა და ბოროტების გააზრებას იწყებს. ამაში მას კლასიკური მუსიკა - ბეთჰოვენის „დიადი მეცხრე“ ეხმარება. ალეკსი ავტორიტარული რეჟიმის მსხვერპლია. უსულგულო მთავრობამ მას ყველაზე ძვირფასი თავისუფლება, მუსიკისა და ხელოვნების სიყვარული წაართვა.

---

[1] **კობა წურწუმია,** ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

წარმოდგენილ სტატიას გასდევს დისკურსიული აზროვნება, ანალიტიკური, კონოტაციური ძიებანი, კრიტიკული ანალიზი, მედიტაციები, აზრის მრავალპლანიანობა, შეპირისპირების მეთოდი.

საკვანძო სიტყვები: ენტონი ბერჯესი, „მექანიკური ფორთოხალი“, დისტოპიური რომანი, ავტორიტარული რეჟიმი, კლასიკური მუსიკა, სიკეთისა და ბოროტების საკითხი.

Koba Tsurtsumia[2]
Sokhumi State University

Dystopian novel „A Clockwork Orange“ by Anthony Burgess

Anthony Burgess is 20th century British writer with an outstanding style and vision. According to the plot a large number of the writer's novels are about violence, confrontation between personality and society. The writer has entered the history of literature as the author of psychological and intellectual novels. Burgess' writing style has immediately attracted the attention of a wide reading public. European and American critics had a different attitude towards „A Clockwork Orange“.

Unhealthy environment, war, social distress, doubting the existence of God, acceptance of false values cause a person's longing for „morbid ugliness“. Where is the source of Alex's spiritual trauma? Did the „destruction of the present“ cause Alex's spiritual „metastases“? Perhaps, foreseeing the future is the cause of human misery and the source of existential fears? Loss of trust in society is followed by personal alienation, indifference, irresponsibility, violence, and mental madness.

We think that Alex is a victim of the „Age of Destruction“. The rebellious teenager gradually returns to society and he begins to understand good and evil. Classical music - Beethoven's „Best Ninth Symphony“ helps him in this. Alex is a victim of an authoritarian regime. The heartless government took away his most precious freedom, his love for music and art.

The vey article is followed by discursive thinking, analytical, connotative searches, critical analysis, meditations, multi-dimensionality of thought, and confrontation method.

Keywords: Anthony Burgess, „A Clockwork Orange“, dystopian novel, authoritarian regime, classical music, an issue of good and evil.

შესავალი. გასულ საუკუნეში გერმანელმა ფილოსოფოსმა და ფსიქოლოგმა ერიხ ფრომმა (Erich Fromm, 1900-1980) მწვავე და დამაფიქრებელი კითხვა დასვა: „ვართ კი ნორმალურები?“ განა ნორმალური იყო ენტონი ბერჯესის პერსონაჟის რადიკალიზმი, ქცევები, გარესამყაროსთან მისი დამოკიდებულე-

[2] **Koba Tsurtsumia**, Doctor of Philology, Viziting Lecturer at Sokhumi State University.

ბა? „შეიძლება იმედი ვიქონიოთ, დადგება ისეთი დღე, როდესაც ვინმე გაბედავს ცივილიზებულ საზოგადოებათა პათოლოგიების გამოკვლევას“, – დასძენს ერიხ ფრომი (ფრომი 2014: 91). უფრო ადრე ფსიქოანალიზის ფუძემდებელი ზიგმუნდ ფროიდი (Sigmund Froid, 1856-1939) ბრძანებდა: „ვის აქვს იმდენი ავტორიტეტი, რომ მთელ საზოგადოებას მოუწოდოს სამკურნალოდ?“ (ფროიდი 2012: 96).

ყოველივე ეს მომავლის საქმეა!

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული პრევალირებს მოსაზრება, რომ ადამიანი არის ღვთაებრივი არსის ნაწილი. ბიბლიური თვალსაზრისით, ყოველ ადამიანს დაჰყვა თანდაყოლილი ლოგოსური მადლი და სიკეთე. შუა საუკუნეების თეოლოგები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის თვალები ლათინურ O-ს ჰგავს, ცხვირი და წარბები - M-ს. ყური და სხვა Dei -ს. აქედან გამომდინარე, ადამიანს სახეზე აწერია *Homo Dei* - ღვთის კაცი. ადამიანში უფრო მეტია ღვთაებრივი განზომილება, ვიდრე მატერიალური. ადამიანი არის ღვთის მსგავსება და ხატება, როგორც ამას „შესაქმეს“ ავტორი გვეუბნება.

მაშ, რა მოხდა ენტონი ბერჯესის პერსონაჟის შემთხვევაში? რა იწვევს ამ ყველაფერს? ცხადია, თავისი ნებით ბოროტი არავინ ხდება! იქნებ უმჯობესია ანთროპოლოგიური კითხვა დავსვათ: „ადამიანი ცხოველშია და თვითონ არ არის ცხოველი, თუ ადამიანი და ცხოველი ერთ მომენტში ტოლი არიან?“ ან იქნებ, ადამიანი „ჯერ კიდევ დაუსრულებელი ცხოველია?“ (ბოჭორიშვილი 1980: 216-220).

„ფროიდის საუკუნემ“ გადატრიალება მოახდინა პიროვნების ფსიქიკაში. იქნებ, ალეკსის თვითგანადგურებისაკენ ლტოლვა „კულტურით დაუკმაყოფილებლობის“ შედეგია. იქნებ, ადამიანის უბედურების მიზეზი არის ის, რომ „დღევანდელ კულტურაში ჩვენ თავს ცუდად ვგრძნობთ“ (ფროიდი 2012: 30).

დისკუსია. ენტონი ბერჯესის რომანის თითოეული გვერდი მძიმე რეალიზმითაა დაზაფრული. მიუხედავად ამისა, ბერჯესი მკითხველს იმედის მცირე სივრცეს უტოვებს და ეს სივრცე ხელოვნებაა, კერძოდ კლასიკური მუსიკა. მუსიკამ ალეკსი საბოლოოდ უნდა გამოაჯანსაღოს და გადაარჩინოს. თუმცა, ყოველივე ეს მხოლოდ პიროვნებაზეა დამოკიდებული.

ალეკსი „ნევროტიკი“ და რწმენა შერყეული „პაციენტია“, რადგან „ღმერთი მოკვდა“ და ჩვენს აპოკალიფსურ სამყაროში ყველაფერი დასაშვებია. დაირღვა ზღვარი წესრიგსა და უწესრიგობას, ზნეობასა და უზნეობას, სიკეთესა და ბოროტებას შორის. ალეკს კრიმინალურ „იდეებთან“ ერთად „მაღალი იდეებიც“ გააჩნია. უყვარს მუსიკა, თან ბეთჰოვენის „დიადი მეცხრე“, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებს. ჩვენ ვხედავთ მის უფრო და უფრო მზარდ გადახრებს სისასტიკისაკენ. რით შეიძლება ეს სარისკო პროცესი დასრულდეს? როგორ შეიძლება ალეკსის მოჭარბებული ემოციური ინტელექტის მართვა?

ალეკსის სახეში შეიძლება დავინახოთ აპოლონური და დიონისური ასპექტები, მაგრამ ყოველივე ეს მასში იცრიცება და ინგრევა. ალეკს რაღაც აკავშირებს ამ შორეულ ანტიკურ მისტერიებთან (მუსიკა, თავდავიწყება, ქალები, თრობა). ცხადია, ამგვარ მსჯელობას მივყავართ პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობის შესწავლასთან. ადამიანის „ყოველი სურვილი თავისი ბუნების მიხედვით მიემართება ევდომონისკენ – სიამოვნებისაკენ“ (ბოჭორიშვილი 1980: 36). ბერჯესის გმირი მიილტვის სიამოვნებისკენ. მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა გზით მიიღწევა იგი. მისთვის მთავარია ექსტაზი, თვითკმაყოფილება, თვითდამკვიდრება, ინსტინქტების თარეში, „აწყვეტილობა“, წარმოსახვისა და ფანტაზიის გააქტიურება; მუსიკა და დიონისური საწყისების შეგრძნება.

ალეკსის სულიერი სამყარო განხეთქილებითაა სავსე. ის მუდამ დინების საპირისპიროდ მიექანება. პირველ რიგში, საკუთარ თავთან ებმება ომში, შემდგომ უპირისპირდება საზოგადოებას. აბსურდულია მთელი მისი მოქმედება. მას დაუოკებელი სექსუალური ფანტაზიები გააჩნია. სიამოვნების სიჭარბე, უკონტროლობა, იწვევს არაჯანსაღ ფსიქიკურ აშლილობას. თავშეკავებით სძლია ადამანმა ცხოველს, მაგრამ ალეკსში ისევ დაუოკებელი ვიტალური სიმხეცე ზეიმობს. ყოველ დღე ანგრევს თავის „ღვთაებრივ ხატს“. ის მუდამ საკუთარი სულის სამალავშია, სადაც მხოლოდ ქაოსი და წყვდიადია. მკითხველი აცნობიერებს, რომ ალეკსი „ფსიქიკური სიმახინჯეებითაა“ სნეული. მისი რადიკალიზმი უფრო და უფრო უმართავი ხდება. რა არის ამის მიზეზი?

სამყაროში მუდამ იარსებებს ორი ერთმანეთის საპირისპირო სუბსტანცია – სიკეთე და ბოროტება, სიკვდილი და სიცოცხლე, სამართალი და უსამართლობა, დანაშაული და ძალადობა. დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს იკვლევდნენ და განიხილავდნენ ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსები და სწავლულები, კერძოდ პლატონი და არისტოტელე. პლატონის აზრით, დანაშაულის გამომწვევი მიზეზი სახელმწიფოში უსამართლობა და უწესრიგობა, მანკიერი და გაუკუღმართებული წეს-წყობილებაა: „რაც უფრო უსამართლოა სახელმწიფო, მით უფრო მეტ ხალხს დაიმონებს... უსამართლობა განხეთქილების, სიძულვილისა და შინააშლილობის სათავეა“ (პლატონი 2003: 39). მეტიც, „ხელისუფალნიც ცდებიან“, – დასძენს პლატონი. უწესრიგო სახელმწიფო წყობას ეწირება ბერჯესის მოზარდი.

იტალიელი ფსიქიატრისა და კრიმინალისტის, ანთროპოლოგის ჩეზარე ლომბროზოს (Gesare Lombroso,1836-1909) რეაქციულმა თეორიებმა გასულ საუკუნეებში საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა და ხმაური გამოიწვიეს. მისი თეორიის თანახმად, დანაშაულს ბიოლოგიური, უმთავრესად მემკვიდრეობითი ფაქტორები განსაზღვრავენ. ლომბროზო თვლიდა, რომ მომავალი კრიმინალი ბავშვობაში უნდა გამოვლინდეს და უნდა მოხდეს მისი იზოლაცია, რადგან ის ადრე თუ გვიან, უეჭველად ჩაიდენს დანაშაულს და საზოგადოებისათვის ზიანის მომტანი იქნება. „ყოველივე კაცობრივი საზოგადოება თავის ცხოვრების

დაწყებით ხანაში განირჩევა სისასტიკით, ზარმაცობით, უზნეობით და გარყვნილობით...ბალღები ბევრად ჩამოჰგვანან ველურ ადამიანებს. მათ თავიდანვე ეტყობათ სიზარმაცე, სისასტიკე, ჯიუტობა“ (ლომბროზო 1908: 2). ვფიქრობთ, რომ დღეს ჩეზარე ლომბროზოს „დაბადებიდანვე დამნაშავის“ თეორია მოძველებულია და მოკლებულია ღრმა მეცნიერულ დასკვნებს და ძნელია ლიტერატურული პერსონაჟების განსჯისთვის გამოგვადგეს. ენტონი ბერჯესიც ამ აზრისა იყო და აღნიშნავდა, რომ ალეკსის ძალადობისკენ მიდრეკილება „არაა გენეტიკური მოვლენა“ (ბერჯესი 2014: 192).

რუდოლფ შტაინერი (Rudolf Steiner, 1861-1925) ავსტრიელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი, ანთროპოსოფიური სკოლის ფუძემდებელი, სიღრმისეულად განიხილავს ბოროტების წარმოშობის მიზეზებს. შტაინერი თვლიდა, რომ ბოროტება უშუალოდ ადამიანის ბუნებას უკავშირდება. ადამიანმა სიკეთე რომ აირჩიოს, მის წინაშე ბოროტებაც უნდა იყოს, „რადგან ბოროტების გარეშე არ იქნებოდა არც სიკეთის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა“, მეტიც, „ბოროტება არის სიკეთის დაბალი ხარისხი“ (შტაინერი 2014: 118-124).

„შეუძლებელია ვისაუბროთ სამყაროს არასრულყოფილებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ მასში არის ბოროტება, სწორედ ამიტომ არის ის სრულყოფილი. ბოროტება აუცილებელია, რათა სიკეთე განვითარდეს. ბოროტება ეს არის დამახინჯებული სიკეთე“ (შტაინერი 2014: 125). ბერჯესის პერსონაჟი მუსიკის გზით ცდილობს „დამახინჯებული სიკეთისაგან“ თავის დაღწევას. მან იცის სიკეთის ფასი. ისიც იცის, რომ ბოროტების საზღაური სიკვდილია, როგორც ამას პავლე მოციქული გვეუბნება: „ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღვთის მადლი-მარადიული სიცოცხლე“ (რომ. 6: 23). ნეტარი ავგუსტინე ავრელიუსიც ამ აზრისა იყო. „აღსარებაში“ ვკითხულობთ: „ბოროტება სხვა არა არის რა, თუ არა სიკეთის უქონლობა, სიკეთის დამცირება და დაკნინება სრულ გაქრობამდე“ (ავრელიუსი 1995: 42). ვოლტერი „ზადიგში“ წერს: „არ არსებობს ბოროტება, რომლისგანაც ბოლოს სიკეთე არ იბადებოდეს (ვოლტერი 1992: 109). ნუთუ ასეთი მძიმე და რთული გზა უნდა გამოევლო ალეკს, რომ სიკეთის ფასი გაეგო? ნუთუ, უფალი ადამიანისაგან ამდენ მსხვერპლს ითხოვს?! მიგელ დე უნამუნო „ბურუსში“ წერდა: „ადამიანი კეთილი იბადება, იგი ბუნებით კეთილია. საზოგადოება კი აფუჭებს და რყვნის მას“ (უნამუნო 1986: 81).

იქნებ, უმჯობესია ბიბლიური ინტერპრეტაციის გზით განვიხილოთ ალეკსის პერსონა. ალეკსიც უშუალო მემკვიდრეა ბიბლიური ადამის. ისიც დაეცა ბიბლიური ადამიანების მსგავსად. მანაც „იგემა“ აკრძალული ხის ნაყოფი. ალეკსის „მეხსიერება“ აქტიურია. ის „ინახავს“ კაცობრიობის განვლილ გზას. ბეთჰოვენის მუსიკის გზით ალეკსი ცდილობს განთავისუფლდეს „დაბალი ხარისხის“ სიკეთისაგან, მაგრამ ამაში ხელს უშლის გარემო. გაიხრწნა და გაუკუღმართდა ადამიანი. დაივიწყა უფლის სიკეთე. დაივიწყა ისიც, რომ უფლის ქმნილებაა, შექმნილი კეთილი საქმეებისათვის (ეფეს. 2: 10). მიუხედავად ამი-

სა, „ადამი მომავლის სახეა“ (რომ. 5: 14). ადამიანი წუთისოფელში ბოლომდე განწირული არაა. მას შეუძლია სულიერი ტრანსფორმაცია, სინანული, განახლება. ადამიანის „მოკვდავ სხეულში“ განახლების დიდი ძალაა. მარადიული სიცოცხლისაკენ სწრაფვა ადამიანის მუდმივი ფიქრის საგანი უნდა გახდეს. დაცემული ადამიანი წამოყენებული იქნება. პავლე მოციქული წერს: „არ დაგძლიოს ბოროტმა, არამედ შენ სძლიე ბოროტს კეთილით (რომ. 12: 21). ადამიანი კეთილი საქმეებით უნდა გამდიდრდეს, სამწუხაროდ, ენტონი ბერჯესის მოზარდს არავინ უჩვენა სიკეთისაკენ მიმავალი გზა.

„მექანიკური ფორთოხალი“ („A Clockwork Orange", 1962) მოდერნისტული რომანის გვიანდელი ნიმუშია. ბერჯესის რომანის ერთ-ერთი უმთავრესი მეტაფორა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის (Ludwig van Beethoven, 1770- 1827) მეცხრე სიმფონიაა. დიდია მუსიკის ძალა! საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუსიკა და ზოგადად, ხელოვნება, ადამიანზე დიდ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს. უხსოვარი დროიდან ადამიანის აღზრდაში მუსიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული ვითარდება და ყალიბდება მუსიკალური ხელოვნება, ფოლკლორული და საეკლესიო საგალობლები. ძველ საბერძნეთში არსებობდა დიონისესა და სხვა ღვთაებებისადმი მიძღვნილი საგუნდო სიმღერები და ჰიმნები. მოგვიანებით მითოლოგიურ, ფოლკლორულ და რელიგიურ მოტივებზე აღმოცენებას იწყებს კლასიკური მუსიკა.

ანტიკურ ეპოქაში ცხოვრობდა თრაკიელი მგოსანი ორფევსი. ბერძნებმა ორფევსის სახით მომღერალი მგოსნის მითიური სახე შექმნეს. ორფევსზე მრავალი მითია შექმნილი. ერთ-ერთი მითის თანახმად, მან არგონავტებთან ერთად იმოგზაურა კოლხეთში და თავისი ღვთაებრივი ჰანგებით მითიურ გმირებს არაერთხელ შეუმსუბუქა დარდი. ჰომეროსი „ილიადაში“ მეორე თრაკიელ მომღერალს თამირისს ასახელებს, რომელიც ტკბილი ხმითა და ქნარზე დაკვრის ნიჭით ყოფილა განთქმული. მუსიკის ძალაზე საუბარია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. ორფევსის მსგავსად ავთანდილიც უიშვიათესი მუსიკალური ნიჭითაა დაჯილდოებული:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლითა ქვანიცა გამოსხდიან“ (რუსთაველი 1990: 196).

როგორც ცნობილია, პლატონს მიღებული ჰქონდა ფილოსოფიური და მუსიკალური განათლება. პლატონი უპირატესობას მუსიკალურ და გიმნასტიკურ აღზრდას ანიჭებდა. „ძნელია მივაკვლიოთ იმაზე უკეთეს საშუალებას, რაც უძველესი დროიდანვეა ცნობილი. სხეულისათვის ეს გახლავთ გიმნასტიკური აღზრდა, სულისათვის – მუსიკური... მუსიკური აღზრდა წინ უნდა უსწრებდეს გიმნასტიკურს“ (პლატონი 2023: 74). პლატონი პიროვნების ჩამოყალიბებაში მუსიკას უდიდეს აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან თვლი-

და, რომ მუსიკა „ყველაზე ღრმად სწვდება ადამიანის სულს... რიტმსა და ჰარმონიას თან ახლავს კეთილსახიერება და ისინი კეთილსახიერებითვე მოსავენ სულსაც“, – დასძენს პლატონი (პლატონი 2023: 108). დიახ, მუსიკა ადამიანის სულს, მის შინაგან სამყაროს კეთილსახიერებით მოსავს. რომანის დასასრულს ბერჯესის პერსონაჟი თითქოს მეტამორფოზას განიცდის. ის მუსიკის დახმარებით ცდილობს საზოგადოებას დაუბრუნდეს. მთელი რომანის მანძილზე მუსიკა მისთვის არის გამოხატვის საშუალება. დანარჩენ სამყაროსთან მას მხოლოდ მუსიკა აკავშირებს. მუსიკამ უნდა იტვირთოს ბერჯესის პერსონაჟის აღზარდა, მისი სულიერი იარების მოშუშება.

საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ მუსიკას უძველესი საუკუნეებიდან სამკურნალო მიზნებისთვისაც იყენებდნენ. მუსიკა ამცირებს შფოთვას, სტრესს, ტკივილს. ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას და ნერვიულ სისტემას. ბიბლიაში და საღვთო წერილებში მუსიკის თერაპიაზეა საუბარი. ფსიქიკური დაავადების დროს მუსიკა ითვლებოდა უებარ სამკურნალო საშუალებად. ისრაელთა სულიერად სნეულ მეფე საულს სასწაულებრივად ამშვიდებდა დავითის ქნარი (მეფ. 16: 14-17). ბიბლიის მიხედვით, არსებობდა „მეჩანგეთა და მესტვირეთა მამა იუბალი“ (დაბ. 4: 21). ამდენად, მუსიკა საუკეთესო საშუალებაა რელაქსაციისათვის, მეტადრე კლასიკური მუსიკა.

არტურ შოპენჰაუერის აზრით, მუსიკის გაგების უნარი ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა: „ადამიანის სურვილია დაკმაყოფილდეს მუსიკით, ხოლო დაკმაყოფილების არდადგომა (უქონლობა) არის ტანჯვა“ მეტიც, „მუსიკა არის დიდი და გამორჩეულად ღვთაებრივი ხელოვნება, რომელიც უფრო მძლავრად, ვიდრე რომელიმე სხვა ხელოვნება, ზემოქმედებს ადამიანის ყველაზე იდუმალ გრძნობებსა და აზრებზე“ (შოპენჰაუერი 2008: 197-203). დიახ, მუსიკა გამორჩეულად ღვთაებრივი ხელოვნებაა. აქეთკენ მიილტვის ალეკსი. ის მთელი რომანის მანძილზე ქვეცნობიერად ამ ღვთაებრივ მუსიკას დაეძებს, რომელიც ადამიანს წმენდს ყოველგვარი უკეთურობისაგან და სულიერად აღამაღლებს და აკეთილშობილებს.

„მუსიკა არის კაცობრიობის საუკეთესო ენა“, – წერდა ჰენრი ლონგფელო. დიდი ლირიკოსი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე წერდა: „იქ სადაც სიტყვები მთავრდება მუსიკა იწყება“. ხოლო ფრიდრიხ ნიცშე ბრძანებდა: „მუსიკის გარეშე ცხოვრება შეცდომა იქნებოდა“.

ენტონი ბერჯესს „მუსიკის სენი“ ყმაწვილობიდანვე შეეყარა. ოთხი წლის ასაკში უკვე პიანინოზე უკრავდა. ბავშვობიდანვე ყოფილა გატაცებული ხელოვნებით. თავისთავად, დამწყებ მწერალზე გავლენას ახდენდა გენეტიკური კოდი. მწერლის მამა ჯოზეფი ბუხჰალტერი და პიანისტი, ხოლო დედა ელიზაბეტი მოცეკვავე და მომღერალი ყოფილა. ბერჯესი წარმატებული მწერალი და კომპოზიტორი იყო. მას მუსიკის სფეროში მრავალი შრომა დაუგროვდა. მიუხედავადა ამისა, მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა XX საუკუნის ინგ-

ლისური პროზის განვითარებაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ მწერალს აქვს მრავალი პუბლიცისტური და კრიტიკული დაკვირვება და შენიშვნა სხვადასხვა მიმდინარეობისა და მსოფლმხედველობის მწერლებზე (ჯეიმს ჯოისი, ერნესტ ჰემინგუეი, ოლდოს აქსლი, გრემ გრინი, სომერსეტ მოემი, ჩარლზ პირსი სნოუ, უილიამ ფოლკნერი, ჯონ ფაულზი, ვლადიმერ ნაბაკოვი, ჯერომ დევიდ სელინჯერი, ჯორჯ ორუელი, ფილიპ როთი და სხვა).

ენტონი ბერჯესის „მექანიკური ფორთოხალი“ „რომანი–გაფრთხილებაა!“ უფრო სწორედ, რომანი–გროტესკია. ბერჯესის მხატვრული მიგნება უტოპიურია. იქნებ ყველაფერი ის, რასაც ბერჯესი გვიყვება ფანტასტიკის ან საშინელებათა ჟანრში თავსდება, მაგრამ „მექანიკური ფორთოხალი“ არაა წმინდა ფანტასტიკის და არც საშინელებათა (Fentesy) ჟანრის რომანის ნარატივი. რეჟისორ სტენლი კუბრიკის „კინოხედვებმა“ (ფილმი 1971 წელს გადაიღეს) ამ წიგნისადმი მკითხველთა ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ მწერალს თავისი შემოქმედებიდან ეს რომანი ნაკლებად მოსწონდა: „ჩემი დაწერილი წიგნებიდან ეს ყველაზე ნაკლებად მომწონს... არ მიმაჩნია ჩემს საუკეთესო რომანად“ (ე. ბერჯესის გამოუქვეყნებელი ინტერვიუდან, ბერჯესი 2014: 202).

ალეკსი ავტორიტარული რეჟიმის მსხვერპლია. უსულგულო მთავრობამ მას ყველაზე ძვირფასი თავისუფლება, მუსიკისა და ხელოვნების სიყვარული წაართვა. ვინც მთავრობას თვალში არ მოუვიდოდა, ან მის საწინააღმდეგოს იტყოდა, კრიმინალად აცხადებდა. მიმართავდა „ტვინის გამორეცხვის“ (ბერჯესის სიტყვებია) თერაპიას. ამ ყველაფერს კი საზოგადოების, ადამიანების ზრუნვის ლოზუნგით ამართლებდნენ. ალეკსი კრიმინალური რეფორმების მსხვერპლია. ძალაუფლების მქონე ისტებლიშმენტი მართავს მთელ სამყაროს (რომანის მიხედვით, ეს ციხე და პოლიციური სისტემაა), მაგრამ ირკვევა, რომ ძალაუფლების მქონე პრივილეგირებულ ჯგუფს ყველაფრის მართვა და გაკონტროლება არ შეუძლია. ალეკსის მართვა შეუძლებელი ხდება!

ალეკსის მთელი ცხოვრება პარადოქსებითაა სავსე. ის „მოთამაშეა“. ცუდი გაგებით. თამაშობს სიმახინჯეს და საერთოდ, ანტიუტოპიურ სამყაროს განასახიერებს. მას თამაში სიამოვნებას ანიჭებს. პათოლოგიურია მთელი მისი „მოქმედება“. მისთვის არ არსებობს აკრძალვები. მისი ეგო უმართავია. შეუძლებელია მისი ინსტინქტების მართავა. მას გააჩნია ამორალური სურვილების საბადო. ამავე დროს, ის მარტოსული ადამიანია (მართალია, მას ჰყავს „ბრატკები“, პიტი, ჯორჯი-ბიჭი და ბნელო, მაგრამ რომელმა გაუწოდა დახმარების ხელი? ბნელოს ღიად აკრიტიკებს: „ეგ მართლა ბნელი ეგა!“). ის სამყაროს არ ღებულობს იმ სახით, რა სახითაც არსებობს. საზოგადოებისთვისაც მისი ჰიპერაქტიულობაც მიუღებელია. მას საზოგადოება არ ღებულობს!

ბიჰევიორისტული (Behaviorism) თეორიის თანახმად, გარემო და ზოგადად, საზოგადოება, ხელს უწყობს მოზარდის ხასიათისა და ქცევების ჩამოყა-

ლიბებას. ბიჰევიორისტები ვარაუდობენ, რომ პიროვნებაში კონკრეტულ ქცევებს თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს. ალეკსის შეუთავსებელი ქცევის ფორმები: ჟარგონი, სლენგი, ინტონაცია, ჟესტები, მისალმება („აჰ, ვშვებით, რამეს!“), სხვადასხვა მოძრაობა, მუშტი-კრივი, ძალადობა და ა. შ. საზოგადოების, გარემოს ზემოქმედების შედეგია. მისი „თამაშები“ მისტიკურ რიტუალს ემსგავსება, რომელიც მას სიამოვნებას ანიჭებს. ის შეუზღუდავად თამაშობს. მისი „თამაშები“ გარკვეული ინფორმაციის შემცველია და განსაკუთრებულ ინტერპრეტაციას მოითხოვს. ბოლოს ალეკსი ნებაყოფლობით გამოდის „თამაშიდან“ და ნიღაბს იხსნის. ამას მოწმობს ტექსტის დასკვნითი ნაწილი, ეპილოგი, სადაც ალეკსის „აღსარებას“ ვეცნობით. ის გვიან, მაგრამ მაინც აცნობიერებს, რომ ამ ფორმით ძნელია საზოგადოების გამოფხიზლება. ჰოლანდიელი სოციოლოგისა და კულტუროლოგის იოჰან ჰაიზინგას (Johan Huizinga, 1872-1945) თქმით, თამაში არის არასერიოზულობა. თამაში არაა „ნამდვილი ცხოვრება“. თამაშის საზრისს ადამიანს ცხოველთან აქვს საზიარო: „ბავშვი და ცხოველი თამაშობენ, იმიტომ რომ სიამოვნებთ, და ამაში მდგომარეობს მათი თავისუფლება (ჰაიზინგა 1985: 284). ალეკსი ჩინებული მოთამაშეა. ის თამაშობს თავის სათამაშო მოედანზე. მისი „თამაში“ საკრალურ ქმედებაში გადადის. მის „მოედანზე“ უპირობო კანონები და წესები მოქმედებს. ეს თამაში ჩაკეტილ წრეში მიმდინარეობს. თამაშისას მომატებულია რისკი. თავისთავად, თამაში არის რაღაცისთვის ბრძოლა! ჩნდება კითხვა: რისთვის თამაშობს ალეკსი? თვითდამკვიდრებისათვის?

„თამაშის“ ფენომენის შესახებ პლატონი ასეთ მოსაზრებას გვთავაზობს: „ბავშვის თამაში რომ თამაშია, თვით ისიც კი დასაბამითვე უნდა დავუქვემდებაროთ წესიერებას, რადგან თუ თამაშისას არავითარი წესრიგი არაა დაცული და ბავშვებიც უწესოდ იქცევიან, შეუძლებელია ისინი სამართლიან ადამიანებად აღიზარდონ“ (პლატონი 2023: 59). ალეკსის „თამაშები“ ყოველგვარ წესიერებას სცილდება. ამდენად, ალეკსის „თამაშები“ ღრმა კონოტაციების შემცველია.

დაკვირვებული მკითხველი იმასაც შენიშნავს, რომ ალეკს სინათლის ეშინია! ის მუდამ იმალება (მთელი რომანის მანძილზე მას ღამით ვხედავთ). ალეკსი და მისი მეგობრები „სიბნელის შვილები“ არიან. ისინი არ არიან „ნათლის ძენი“ (1 თეს. 5: 5). „ცხოვრების ნამდვილი ტრაგედია ისაა, რომ ადამიანებს სინათლის ეშინიათ“ (პლატონი). ისინი თავს ესხმიან ადამიანებს. არა მარტო ადამიანებს, ცხოველებსაც კი. დასჯა სიამოვნებას ანიჭებთ. რატომ იქცევა ასე ალეკსი, რა არის ამის მიზეზი?

რომანში ხშირად მეორდება ეგზისტენციალური ფრაზები:

„აღარც სიცოცხლე მინდა ამ დამპალ ქვეყანაზე და არც არაფერი“.

„ჩვენს დამპალ დროში“.

„ეს ბილწი დამპალი სამყარო“.

„კაცი მთვარეზე დაჯდა და ეშმაკმა იცის, კიდევ სად წავა და მიწაზე კი აირია ყველაფერი, აღარც წესია, აღარც კანონი“ (ბერჯესი 2014: 36-43-54).

ალეკსი სწორედ ამ ბილწ და უსამართლო სამყაროს უპირისპირდება, სადაც არც წესი და არც კანონი კანონობს; სადაც ადამიანური ღირებულებები ფეხქვეშ ითელება და სადაც სრული განუკითხაობაა. და კიდევ:„ამ უკანონო ქვეყანაში ერთმანეთს თუ დავეხმარებით, თორემ სხვა რისი იმედი უნდა ჰქონდეს ადამიანს“ (ბერჯესი 2014: 135). (ეს იმ მწერლის სიტყვებია, რომელსაც ალეკსმა და მისმა მეგობრებმა დიდი სულიერი ტკივილი მიაყენეს). ალეკსი სწორედ ამ უკანონო ქვეყანას ებრძვის.

რომანში საინტერესო პერსონაჟია არასრულწლოვანთა სკოლის ზედ-ამხედველი, ინსპექტორი პლატონ დელტოიდი. მოზარდთა ბედი სწორედ ასეთ ადამიანებს აბარიათ. ინსპექტორი ალეკს ღიად ეუბნება: „ერთადერთი ვარ ეტყობა ამ მძიმე სენით დაავადებულ საზოგადოებაში, ვინც მართლა მოწადინებულია გზაზე დაგაყენოს“ (ბერჯესი 2014: 64). ეს ინსპექტორის მხრიდან სრული თვალთმაქცობა და დემაგოგობაა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩნდება კითხვა: საზოგადოების რომელ სენზე, დაავადებაზეა საუბარი?

ალეკს კომფორმისტულ საზოგადოებაში არსებობა უჭირს. მას საზოგადოების მიმართ უფროდაუფრო უჩნდება მძაფრი რეაქცია, რადგან ამჩნევს, რომ ყველგან სიცრუე და განუკითხაობაა. ხელისუფლებასა და სოციალურ ინსტიტუტებს შორის სრული შეთანხმებაა. ისინი ერთმანეთთან უნისონში იმყოფებიან (ციხე, კლინიკა, სამღვდელოება, სკოლის ინსპექტორი).

საზოგადოების ერთი ნაწილისთვის ალეკსი ტიპიური ხულიგანია, მეორე ნაწილისთვის დაბნეული არასრულწლოვანია, რომელიც მუშტითა და კრივით უპირისპირდება გარე სამყაროს. იქნებ, ადამიანის გაბინძურებაში სხვას მიუძღვის ბრალი. „სახელმწიფო უცივესია ცივთა შორის. ცივად სტყუის იგი; და ცივი სიცრუე გამოდის მისი პირისაგან“ (ნიცშე 1998: 42).

სიცრუე იყო ალეკსის „გადაკეთება“.

„გადაკეთებული“ ალეკსი ადამიანური საწყისების გროტესკული სახეა. ის მხოლოდ „ცარიელი ციფროვკაა“. ალეკსის, როგორც არასრულწლოვანის უფლებები დაირღვა. მთავრობამ მოზარდი ექსპერიმენტისთვის გასწირა.

რომანში შიგადაშიგ ალეკსის „მედიტაციებია“ ჩართული. ის თავის „მსჯელობებში“ თინეიჯერზე მაღლა დგას. ხშირად საუბრობს სიკეთესა და ბოროტებაზე. „შოკირებული“ ალეკსი ექომ ბროდსკის უმტკიცებს, რომ ყველას აქვს უფლება თავის ნებაზე იცხოვროს და კიდევ: „ძალადობა ბოროტებაა“ (ბერჯესი 2014: 116). ვფიქრობთ, საზოგადოება უფრო ძლიერ განიცდის სიკეთის დეფიციტს, ვინემ კონკრეტული პიროვნება.

როგორც აღვნიშნეთ, სიკეთისა და ბოროტების თემას ალეკსი ხშირად უბრუნდება. ის სვამს კითხვას: რა არის სიკეთე? და თვითონვე პასუხობს: „ვაჟკაცობაა სიკეთე“ (ბერჯესი 2014: 41). აქ ვფიქრობთ, საქმე გვაქვს პლატონის

ფილოსოფიური კონცეპტების თავჩენასთან. პლატონის თანახმად, იდეათა სათავეში დგას ერთი იდეა – სიკეთე, რომლის ქვემოდ განლაგებულია სხვა იდეები: სიბრძნე, გონიერება, სამართლიანობა, ვაჟკაცობა, მშვენიერება. ეს მისი ქვეცნობიერი, შინაგანი ხმაა. მასში არის სწრაფვა სიკეთისკენ და სწრაფვა ცოდვისკენ. მან იცის, რომ დაეცა, მაგრამ ამავე დროს, ქვეცნობიერად განახლების სურვილიც აქვს. ის მუდმივად უფალს დაეძებს. უფალთან დაბრუნება სწყურია. ისიც იცის, რომ უფალი მისგან ძალიან შორსაა. მან ყველაზე მეტად იცის სიკეთის ფასი. ცდილობს ღვთის საწყისებს დაუბრუნდეს, მაგრამ იმდენად დაშორდა უფალს, რომ უჭირს თავის ღვთაებრივ ხატთთან დაბრუნება. ცხადია, დიდია ალეკსის სულიერი განცდები. მისი სულიერი მეტამორფოზა თითქოს არ ჩანს, მაგრამ ქვეცნობიერად უფალს დაეძებს. უფლისაგან შველას ითხოვს.

ალეკსი აგნოსტიკოსია. მასში ღვთაებრივი საწყისები თვლემს, მაგრამ არ ცდილობს მის გამოღვიძებას, რადგან თავს ღმერთისაგან მიტოვებულად გრძნობს. ის თავის ღვთაებრივ საწყისებს ყოველდღე თელავს და ანგრევს. ის მუდამ სიბნელეში ყოფნას ამჯობინებს. მას გააჩნია მოჭარბებული ლიბიდოზური ენერგია, რომელიც ახშობს და ანადგურებს მის ნათელ საწყისებს, პირველქმნილ უმანკოებას. შემთხვევითი არაა ისიც, რომ ბერჯესმა ამ რომანს „თეოლოგიური დრამა“ უწოდა (ბერჯესი 2014: 205).

ციხეში მოხვედრის შემდეგ ალეკს უჩნდება რელიგიისადმი ძლიერი ლტოლვა. დიდი მონდომებით კითხულობს ფსალმუნებს, მათეს სახარებას, ჯვარცმის სცენებს, იცის ბიბლიური იგავი კეთილ სამარიტელზე. სულიერი სიცარიელის ამოვსებას ცდილობს. ამაში თითქოს ეხმარება ციხის კაპელანი, მაგრამ ალეკსი ციხის კაპელანს ბოლომდე არ ენდობა (ეს ის კაპელანია, რომელიც ალეკს არა სახელით, არამედ ციფრებით მიმართავდა: „შვილო ჩემო 665321). „ეგ ჩემის კაპელანი მაგრა ჩალიჩობდა, როგორმე წინ წასულიყო ჩინის ამბავში“. მეტიც, ეს ის კაპელანი იყო, რომელიც მუდამ ვისკისა და სიგარის სუნით ყარდა. კაპელანმა „საღვთო წიგნით დაინტერესება შემატყო, ჩამკეტავდა ხოლმე სალოცავში, მუსიკის მოსმენის ნებას მაძლევდა და ვიყავი ასე განცხრომაში: დავჯდებოდი ჩემთვის, მარტო, კასეტას ჩავდევდი და ბიბლიას ვფურცლავდი“ (ბერჯესი 2014: 96). ალეკსი ციხეში კაპელანის დამხმარე იყო. მას ევალებოდა მუსიკალური აკომპანიმენტით წირვის გაფორმება. მუსიკა სასულიერო ხასიათის უნდა ყოფილიყო, მაგარამ ალეკსი ციხის მრევლს ხან ბახს და ხან ჰენდელის მუსიკას ასმენინებდა. მიუხედავად ამისა, ბერჯესის პერსონაჟს ეკლესიის მიმართ სრული ინდიფერენტული დამოკიდებულება აქვს.

„სინტემესკით“ და „დენქრომით“ ალეკსი კი არა, საზოგადოებაა გაჟღენთილი. ალეკსიც ამ საზოგადოების ნაწილია. ამ საზოგადოებას ისე ექცევა, როგორც იმსახურებს! გავიხსენოთ ტექსტიდან ის სცენები, როდესაც ალეკსი პოლიციელებს ჩაუვარდება ხელში. კანონისა და წესრიგის დამცველები იმით კი არა არიან შეწუხებული, რომ დანაშაული მოხდა. პირიქით, გახარებულები იტყ-

ვიან: „კარგა დიდი ღლავი დაგვითრევია“. ასევე საინტერესოა კაფეში მსხდომი ქალბატონები, რომლებიც ალეკს და მის მეგობრებს ალიბს „უკვარახჭინებენ“: „ღმერთი შეგეწიოთ, ყმაწვილებო, თქვენ გაიხარეთ, მთელი საღამო აქ არ იყავით?“

მიგვაჩნია, რომ ბერჯესის პერსონაჟს ყველამ ხელი ჰკრა: სკოლამ, საზოგადოებამ, ოჯახმა, მეგობრებმა. მის უბედურებაში ყველას მიუძღოდა ბრალი. დანაშაული პირველმა ოჯახმა აღიარა: „ჰო, შვილო... მგონი, ცოტა ჩვენი ბრალიცაა“ (ბერჯესი 2014: 150).

განა, მხოლოდ ცოტა?!

ბერჯესის მოზარდმა მშვენივრად იცის, რომ ამქვეყნად მართლმსაჯულება „ჩათლახების“ ხელშია (ბერჯესის სიტყვებია). ციხიდან გამოსული შეიტყობს, რომ ბნელო პოლიციელი გამხდარა და „ხალხის სამსახურში“ ჩამდგარა. ამიტომაც ამ საზოგადოებას ნიშნისმოგებით მიმართავს: „კარგია, რომ თქვენს მხარეზე არ ვარ!“ მას ადამიანების მიმართ ნდობა სრულიად დაკარგული აქვს. ღიად ამბობს კიდეც: „ძმებო, ბოლომდე არავის ნდობა არ შეიძლება ქვეყანაზე“. სწორედ საზოგადოების სიცრუემ, დეჰუმანიზაციამ და სიმახინჯემ განაპირობა ბერჯესის პერსონაჟის სულიერი და ზნეობრივი დაცემა. ამიტომაც ის მთელ სამყაროს მუშტით, იარაღით, ნარკოტიკების ზემოქმედებით უპირისპირდება. ის უგულებელყოფს საზოგადოებაში გაბატონებულ ეთიკურ და ზნეობრივ ნორმებს. ვერბალური სიბილწე – გინება (სლენგი, ჟარგონები), რომელსაც ის მიმართავს, მისთვის მხოლოდ თავდაცვითი საშუალებაა. მას მოძალადის ნიღაბი საზოგადოებამ მოარგო. მას სჭირდება „გარეგანი უხეშობა“ საკუთარი თავის დასაცავად.

ალეკსი „აგებს ახალ რეალობას“, სადაც თავს კომფორტულად გრძნობს, მაგრამ „რეალობა ძალიან ძლიერი“ აღმოჩნდება (ზ. ფროიდი). ამით ითრგუნება ალეკსის ნება, მისი ამბოხი. ალეკსისთვის ხელოვნება, კერძოდ კლასიკური მუსიკა სიამოვნების წყაროა, მაგრამ მას მუსიკა მხოლოდ ხანმოკლე დროით შველის და არ ავიწყებს რეალობას. ალეკსი უფრო და უფრო ეჭიდება მუსიკას და სურს ამ გზით მცირედი ბედნიერება მოიპოვოს. მკითხველი იმასაც უთუოდ ყურადღებას მიაქცევს, რომ ტექსტში არსად არაა საუბარი ალეკსის სასიყვარულო ეპიზოდებზე. ამ გარემოში მას სიყვარულზე ფიქრიც არ ძალუძს. მხოლოდ წუთიერი ვნება იპყრობს და ამით კმაყოფილდება.

სიამოვნებისაკენ ლტოლვა ადამიანის ბუნებრივი, თანდაყოლილი თვისებაა.სიამოვნება ტანჯვისაგან განთავისუფლებასაც გულისხმობს. ალეკსი იტანჯება ოჯახის, საზოგადოების, თანატოლების გაუცხოების, ადამიანური რესურსების სიმწირის გამო და ამიტომაც მას სჭირდება ნარკოტიკი, ექსტაზი, სექსი და ყველაზე მეტად კლასიკური მუსიკა – დიადი მეცხრე, მაგრამ ჩნდება კითხვა, რამდენად სწორად და მართებულად იყენებს ალეკსი შინაგან რესურსებს, მოჭარბებულ ემოციებს, ინტელექტს?

ალეკსი ტიტანი კომპოზიტორის ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის გენიის ტყვეობაშია. მას მუსიკის მიმართ გააჩნია განსაკუთრებული დამოკიდებულება. ის მუსიკის გზით გამოხატავს თავის რეაქციას. მთელი სიხარბით ცდილობს შეიგრძნოს მუსიკის მომნუსხველი ძალა. ის მთელი რომანის მანძილზე მუსიკის ზემოქმედების ქვეშაა. მუსიკა მისთვის ნათელი სხივი, მოციაგე პატარა ლამპარია, რომლის განვითარებასაც ცდილობს, მაგრამ ხელისუფლებამ მასში ეს პატარა მოციაგე სინათლე ჩააქრო. „ფაფარაშლილი ბეთჰოვენი“ მისთვის არის შეუპოვრობის, დაუმორჩილებლობისა და ბრძოლის სიმბოლო. ტექსტში „დიადი მეცხრე“ ხშირად გაიელვებს. ამ მუსიკის ფონზე მას უმძაფრდება განცდები, ემოციები, ტკივილი და მღელვარება. ქუხს „დიადი მეცხრე“ და მას უფრო და უფრო ემატება გამბედაობა და საბრძოლო ჟინი. სექსი და მუსიკა – ალეკსი ამ ორი კონტრასტის შერწყმით ეძლევა ექსტაზს. ძალადობის ჩვენება ბერჯესთან მუსიკალური აკომპანიმენტით ხდება.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონიამ“ კლასიკური მუსიკის ისტორიაში გარდატეხა მოახდინა. ამ სიმფონიაში კაცობრიობის „კოსმიური სიხარული“ გამჟღავნდა (ბეთჰოვენმა სასიმღერო ტექსტად აირჩია ფრიდრიხ შილერის ლექსი „სიხარულის ოდა“). „მეცხრე სიმფონია“ არის ადამიანის შეუპოვარი შერკინება ბედთან: „მეცხრე სიმფონია აფართოებს ადამიანის განცდას, გონებას, აძლიერებს ჩვენში გამბედაობისა და ბრძოლის სურვილს, იწვევს იმედებსა და სიყვარულს“ (კაპანელი 1937: 35). ალეკს ყველგან დიდი კომპოზიტორი ელანდება (კნუტების მეპატრონე მოხუცი ქალბატონის სახლში ბეთჰოვენის ბიუსტს შენიშნავს და მონუსხული შეჰყურებს. ციხეში მოხვედრილი პირველ დღესვე სიზმარში ბეთჰოვენს იხილავს და ა. შ.).

ძალზე საინტერესოა რომანის ეპილოგი, სადაც იმართება დიალოგი მთავარ გმირსა და ავტორს შორის. ალეკსი ავტორს გამოუტყდება: „ახლა ვიტყვი, რომ მუსიკაა გზა. მუსიკა ის გზაა, დიდ სიმართლემდე რომ მიდის. ზეცას ჰგავს“ (ბერჯესი 2014: 179). ალეკს ზეცისკენ, სიკეთისკენ მიმავალი გზა შეგნებულად წაართვეს. ამ არჩევანის წართმევის უფლება არავის აქვს. ცხადია, ალეკსი არაა ბოროტი ახალგაზრდა! ავტორიტარულმა მთავრობამ მას იმედი და მუსიკის სიყვარული წაართვა.

შეიძლება ითქვას, ბერჯესის ტექსტში ბევრი მუსიკა და ნოტია, რომელიც ტრაგიკულად ჟღერს. „მექანიკური ფორთოხალი“ აგებულებით მოცარტის მეცხრე სიმფონიას ჰგავს. როდესაც ბერჯესის ტექსტს ვკითხულობთ თითოეული ნერვი ტოკავს, ემოციები ქუხს, სამყარო ბრუნავს და ტორტმანობს, ყველაფერი ინგრევა. ასეთია „მექანიკური ფორთოხალი“, ასეთია „მეცხრე სიმფონია“.

ალეკს მთელი რომანის მანძილზე მუსიკა აძლიერებს, ამშვიდებს და აღუდგენს დარღვეულ წონასწორობას. მისი აღვირახსნილობის მიღმა თვლემს ახალგაზრდა მელომანი, მოზარდი, თინეიჯერი, რომელიც ცდილობს სამყარო და საკუთარი თავი შეიცნოს. კლასიკური მუსიკის გზით ის მხოლოდ ვნებების

გაღვიძებას როდი ცდილობს. მუსიკის გზით ის ცდილობს შეიცნოს ადამიანის უმთავრესი მისია, ცხოვრების საზრისი. ასე მკურნალობს ის დაავადებულ სულს. ასეთია მისი შინაგანი განცდები. ამდენად, ბერჯესის პერსონაჟი მუსიკის გზით „ფსიქოთერაპიას“ მიმართავს. ამ გზით ხდება ალეკსის სულიერი განახლება და განწმენდა. მართალია, მან შიშის, დანაშაულისა და სიბრალულის გრძნობა დაკარგა, მაგრამ არა თავისუფლების, არა – მაღალი ხელოვნების.

კიდევ ერთი მინიშნება. ენტონი ბერჯესთან შოკური თერაპია ღრმა კონოტაციების შემცველია. სიკეთისა და ბოროტების ჩვენებით პროტაგონისტმა არჩევანი უნდა გააკეთოს: სიკეთე თუ ბოროტება, ნათელი თუ ბნელი, სიყვარული თუ სიძულვილი! თუკი არისტოტელეს კათარზისის თეორიას მოვიშველიებთ, ბერჯესის რომანს შეიძლება ვუწოდოთ „კათარზისის ტრაგედია“ არისტოტელე „პოეტიკაში“ დასძენს: „ტრაგედია იწვევს მაყურებელთა განწმენდას სიბრალულისა და შიშის აღძვრით. სიბრალული არის ტანჯვა ტანჯვის მიმართ ან თანატანჯვა. მე წარმოვიდგინე ან შევიცანი, თუ როგორ იტანჯება ესა თუ ის არსება, და ამის გამო თვითონაც ვიტანჯები. სიბრალულის მსგავსად, შიშიც არის ტანჯვა ტანჯვის მიმართ ან თანატანჯვა“ (არისტოტელე 1979: 116). ჯოჯოხეთური და მტანჯველი შოკური თერაპიის გზით ალეკსი კათარზისის მოთხოვნილების წინაშე უნდა დადგეს. ამ შოკური თერაპიით ალეკსი ღმერთთან შერიგების ერთგვარ წინაპირობას ქმნის. იქნებ, ეს უმძიმესი კინო-კადრები მწერლის უმთავრესი მეტაფორაა! ამდენად, ბერჯესთან შოკური თერაპია მთლიანად მეტაფორულია და სულ სხვა აზრობრივ კონოტაციებს იძენს. აგრესიული კანონებით აღზრდილი ადამიანი ტანჯვითა და სინანულით უნდა განიწმინდოს. ალეკსი დიდი ხანია დაშორდა ღმერთს და ამიტომაც თავს უამრავი უბედურება დაატყდება. შოკური თერაპიით მან ღმერთი უნდა შეიცნოს. ტანჯვის გზით ხელახლა უნდა დაიბადოს. ცხადია, ტკივილი მის დაცემულ ბუნებას ასუფთავებს და წმენდს. ეს მისი „საღვთო სასჯელია.“ მეტიც, ტკივილს ის სიკეთისკენ მიჰყავს. განსაცდელის გარეშე შეუძლებელია ადამიანმა სულიერ სიმაღლეებს მიაღწიოს. და უმთავრესი: უფალი არ დაუშვებს იმაზე მეტ განსაცდელს, რომლის ატანაც ადამიანს არ შეუძლია. „ნეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი“ (იაკ. 1: 12.). პავლე მოციქული მაცხოვარზე გვეუბნება: „თუმცა ძე იყო, მან ტანჯვის მეოხებით ისწავლა მორჩილება“ (ებრ. 5: 8). ალეკსი, ვითარცა „ძე შეცდომილი“ მონანიების გზას დაადგება. ეს ჩანს რომანის დასკვნით ნაწილში. ასე თანდათან იწმინდება და სუფთავდება მისი დაცემული ბუნება.

ალეკსი კი არა, საზოგადოებაა დამნაშავე! ტექსტის დასასრულს ალეკსის სიტყვები „აღსარებასავით“ გაიელვებს: *„უწლოვანო ვიყავი და იქნებ სულაც მაგის ბრალი იყო ეს ყველაფერი“* (ბერჯესი 2014: 266). ვინ იცის?! რომანის ბოლოს ბუდიდან გადმოვარდნილი „უძღები შვილი“ ისევ ბუდეს უბრუნდება.

დასკვნა. დასასრულს დავსძენთ, რომ ენტონი ბერჯესის „მექანიკური ფორთოხალი“ დისტოპიური ჟანრის რომანია. მწერალი ღიად გვესაუბრება დი-

სტოპიურ საზოგადოებაზე, გაუცხოებაზე, პიროვნების გარდაუვალ ტრაგედიაზე. ტექსტში მკვეთრადაა დაპირისპირებული ხელოვნება და ცხოვრება, პიროვნება და საზოგადოება, სიკეთე და ბოროტება. ვფიქრობთ, რომ ალეკსი ავტორიტარული რეჟიმის მსხვერპლია! ავტორიტარული გარემო მოზარდისთვის დამღუპველი აღმოჩნდება. ცხადია, ბერჯესის ეს წიგნი რომანი-გროტესკია უხამსი სიტყვებითა და ჟარგონებით. ტექსტში ენტონი ბერჯესის უმთავარესი სათქმელი ასე გაჟღერდება: *„საბრალო ბიჭი...ესეც ამ შეშლილი საუკუნის კიდევ ერთი მსხვერპლი“.*

გამოყენებული ლიტერატურა:

არისტოტელე (1979) არისტოტელე, პოეტიკა, წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარები ს. დანელიასი, თბილისი;

ალიგიერი (2012) დ. ალიგიერი, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი და განმარტებანი კ. გამსახურდიასი, თბილისი;

ბერჯესი (2014) ე. ბერჯესი, მექანიკური ფორთოხალი, თარგმანი გ. ჭუმბურიძის, თბილისი;

ბოჭორიშვილი (1991) ა. ბოჭორიშვილი, თხზულებები ხუთ ტომად, ტომი I, თბილისი;

ბოჭორიშვილი (1980) ა. ბოჭორიშვილი, რას ამბობენ ფილოსოფოსები ადამიანის არსის შესახებ, თბილისი;

იუნგი (2014): კ. გ. იუნგი, თანამედროვე ადამიანის სულიერი პრობლემა, კარენ ჰორნი, კულტურა და ნევროზი, ერიხ ფრომი, ვართ კი ნორმალურები? თარგმანი ნ. კუჭუხიძის, ქუთაისი;

კაპანელი (1937) კ. კაპანელი, მოცარტი, ბეთჰოვენი, ვაგნერი, სახელგამი, თბილისი;

ნიცშე (1989) ფ. ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ე. ტატიშვილის, „ფილოსოფიური ბიბლიოთეკა“, თბილისი;

პლატონი (2003) პლატონი, სახელმწიფო, თარგმანი ბ. ბრეგვაძის, თბილისი;

ლომბროზო (1908) ჩ. ლომბროზო, როგორ უყურებს ბოროტ-მოქმედებას ლომბროზო და მისი სკოლა, გაზეთი „ამირანი“, N101, 103, თბილისი;

უსლ (2005) უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი ს. თეზელიშვილი, თბილისი;

ფროიდი (2012) ზ. ფროიდი, კულტურით უკმაყოფილება, თარგმანი ა. პეტრიაშვილისა და გ. ხოშტარიასი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;

შტაინერი (2014) რ. შტაინერი, ბოროტების წარმოშობა, „შუა საუკუნეების მისტერიათა ცენტრები“, თარგმანი ა. კვარაცხელიასი, თბილისი;

შოპენჰაუერი (2008) ა. შოპენჰაუერი, მუსიკის შესახებ, მშვენიერების მეტაფიზიკა, თარგმანი ვ. ფეიქრიშვილისა, თბილისი;

საფრანსკი (2015) რ. საფრანსკი, ბოროტება ანუ თავისუფლების დრამა, თარგმანი ანა კორძაია-სამადაშვილისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;
ჰოიზინგა (1985) ი. ჰოიზინგა, თამაშის, როგორც კულტურის მოვლენის, არსი და მნიშვნელობა, თარგმანი გ. ნოდიასი, ჟურნალი „საუნჯე“, N6. თბილისი;
Roger (2002): Lewis Roger, Anthony Burgess, Faber and Faber, New York;
Phillips (1999): Paul Phillips, The Music of Anthony Burgess, London;
Coale (1981): Samuel Coale, Anthony Burgess, New York.